

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/07

ქ. ბათუმი

15 იანვარი, 2020 წელი

„ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 ივლისის N01-02/123 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 6 თებერვლის №06-01/07 დადგენილების, „ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 5 დეკემბრის 01-02/202 ბრძანების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დასკვნა, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2020 წლის 14 იანვრის №25114 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 ივლისის N01-02/123 ბრძანების პირველ პუნქტში, კერძოდ დანართი 1 - „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“ და დანართი 2 - „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების დანართი 1 - „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“ და დანართი 2 - „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ შესაბამისად.

2. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების აღსრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში „ბსუ-ს რექტორის ბრძანებები“ და „პროფესიული სწავლება“).
4. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს (პროგრამების ხელმძღვანელებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს ცენტრმა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

 მერაბ ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადების X პროფესიული გადაამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

II 03 04 05

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 10

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 10 მაქსიმალური 20

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: „რკინაბეტონისა (მონოლითური) და ანაკრები კონსტრუქციების მოწყობის არანაკლებ 3 თვიანი სამუშაო გამოცდილება; ასაკი: - მინიმუმ 18 წელი.

პროგრამის მიზნები:

შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სამშენებლო სექტორში დასაქმებულ პირებს, შესძინოს და განუკითაროს სამშენებლო სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე

დამყარებული ცოდნა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, გაუმჯობესოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საფრთხეების წინასწარი შეფასებისას. დაეხმაროს მსმენელს არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანაში და შრომის უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ფორმალიზაციაში.

მსმენელს შესძინოს და განუვითაროს:

- საკუთარი თავისა და მასთან მომუშავე პირის უსაფრთხო მუშაობაზე ზრუნვის და ჯანმრთელობის დაცვის უნარი;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში სამუშაო გარემოში მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ერგონომიკული საფრთხეების შეფასებისა და მის აღმოფხვრაში მონაწილეობის უნარი;
- მექანიზმებისა და ხელსაწყო-იარაღების უსაფრთხოდ გამოყენების უნარი;
- უსაფრთხო სამუშაო ადგილის მოწყობის უნარი;
- საფრთხეების წინასწარი შეფასების შედეგად, სამშენებლო კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ანაკრები) მოწყობისა და საიზოლაციო სამუშაოების ჩატარების უნარი უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
- სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისა და საიზოლაციო სამუშაოების წარმომსახვების გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინების უნარი;
- ელექტროუსაფრთხოების და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენების უნარი.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ცოდნა და პრაქტიკული უნარები:

იცის:

1. ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიხედვით დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებების, შრომის დაცვის ზოგადი პრინციპების ცოდნა

შეუძლია:

2. კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო გარემოში სხვადასხვა სახის (ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური, ეროვნომიკული) საფრთხეების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა შესაძლებლობების ფარგლებში;
3. სამუშაო ადგილის უსაფრთხოოდ მოწყობა და პირადი დაცვის საშუალებებით აღჭურვა;
4. ხარაჩოებისა და გადასატანი კიბეების გამოყენება ნორმების შესაბამისად;
5. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენება სამუშაო პროცესების შესრულებისას;
6. „ბეტონის, რკინაბეტონის და საყალიბე სამუშაოთა წარმოებისას გამოკვეთილი საფრთხეების ამოცნობა და სამუშაოთა წარმოება უსაფრთხოების ნორმების დაცვით“.
7. ანაკრები კონსტრუქციებით სამონტაჟო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოება;
8. საიზოლაციო სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
9. მანქანა-მექანიზმებთან და ხელსაწყო-იარაღებთან მუშაობა უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
10. სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების დაცვა სამუშაოების შესრულებისას;
11. პირველადი დახმარების გაწევა შესაძლებლობის ფარგლებში.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. პროფესიული სტანდარტები:
 - რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მებეტონე, მეარმატურე).
 - სამშენებლო კონსტრუქციების მემონტაჟე.
2. რეგიონში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი.
3. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.
4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამა განკუთვნილია როგორც პარტნიორ სამშენებლო კომპანიაში დასაქმებული პირებისთვის, ასევე

სამშენებლო სექტორში მომუშავე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომელთაც მინიმუმ სამთვიანი სამუშაო გამოცდილება აქვთ. სწავლება ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე და რეალურ სამუშაო გარემოში პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული საათობრივი დატვირთვის -32,5 %, სამშენებლო კომპანიაში - 67,5%.

პროფესიული გადამზადების პროგრამის „შრომის უსაფრთხოების დაცვა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობისას“ მოცულობა შეადგენს 80 საათს. მშენებელთა გადამზადება განხორციელდება 8 კვირის განმავლობაში კვირეული დატვირთვით - 10 საათი. კვირაში 2-3 დღე (დამსაქმებელთან შეთანხმებით).

პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების განსაზღვრული შეფასება განხორციელდება წერილობითი გამოკითხვა (ტესტირებით) და პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასება (პროცესზე დაკვირვებით) მეოთხე და მერვე კვირას.

ტესტირების შეფასების ინსტრუმენტები:

1. კითხვები - შესაბამისობის დადგენა;
2. „ქუმარიტა / მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები;
3. კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით;

პროცესზე დაკვირვება განხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცესზე დაკვირვების ფურცლის (Check List) საშუალებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ.

პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

შენიშვნა: სწავლების განმავლობაში შესაძლებელია, სამშენებლო ობიექტზე სამუშაო პროცესების თავისებურებიდან გამომდინარე კვირეული დატვირთვის მიხედვით თემატიკის ცვლილება.

2. პროგრამის შინაარსი

დასახელება	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
I.	<ul style="list-style-type: none"> ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიხედვით დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები, პასუხისმგებლობები; შრომის დაცვის ზოგადი პრინციპები. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტები (№477, №361, №429)- ზოგადი მიმოხილვა. სამუშაო გარემოში საფრთხეებისა და საშიშროებების განსაზღვრის პრინციპები; ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები; საშოში ზონები სამშენებლო მოედანზე; სამუშაო გარემოში ქიმიური, ბიოლოგიური, მექანიკური და ეროვნომიკული საფრთხის ძირითადი ფაქტორები; მშენებლობაში საწარმოო 	1	10	პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>

	<p>ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების ძირითადი სახეები;</p> <ul style="list-style-type: none"> • PPE-პირადი დაცვის საშუალებები და მათი დანიშნულება; • უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოწყობის წესები; • ხელსაწყო ინსტრუმენტების უსაფრთხოდ განლაგების ძირითადი წესები; • უსაფრთხოების (შემზღვევა, მფრთხილებელი, მაჩვენებელი და ამკრძალავი) ნიშნები; • სანიტარულ-ჰიგიენური და ეთიკის ნორმები. 	3				
II.	<ul style="list-style-type: none"> • სამშენებლო მოედანზე ინსტრუქციის მნიშვნელობა. • მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების წესები უსაფრთხოების ნორმების დაცვით. • მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების საფრთხეების იდენტიფიცირება. • მასალების (საყალიბე ფარები, შუკრავი დეტალები, არმატურა) უსაფრთხოდ დასაწყობების წესები. 	1	10	<p>პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>
III.	<ul style="list-style-type: none"> • ხარაჩოებისა (მათ შორის მობილური) და გადასატანი კიბეების გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად; • ხარაჩოების უსაფრთხოდ მოწყობის პირობების განსაზღვრა ინსტრუქციისა და ტექნიკური რეგლამენტი 477-ის 	4	10	<p>პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (3 საათი);</p>

	<p>შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> • თემატიკის მიხედვით, GIZ-სა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენება სამუშაო პროცესების შესრულებისას. ▪ ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოების (არმირება, ბეტონის ჩალაგება ყალიბში) ძირითადი საფრთხეების განსაზღვრის წესები; 	5			სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).
IV.	<ul style="list-style-type: none"> ▪ არმატურის ზომებად დაჭრისა და საჭირო ფორმის მოცემისას უსაფრთხოების წესები. ▪ არმატურის კარკასის ან ბადის შეკვრისა და ყალიბში განთავსებისას უსაფრთხოების წესები. ▪ ყალიბში ბეტონის ჩალაგების უსაფრთხოების წესები. ▪ ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება უსაფრთხოების ნორმების დაცვით; ▪ საყალიბე სამუშაოთა წარმოებისას (ყალიბის მოწყობა, ყალიბის დემონტაჟი) საფრთხეების განსაზღვრა; • გარემოს დაცვის პირობები კონკრეტული სამუშაოების წარმოებისას. 	6	10	პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი	საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (2 საათი);
					სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (5 საათი).

შეფასება	შეფასდება პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კვირის შედეგები	10	პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი	წერიტი მეთოდი. ტესტი პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	1 საათი 2 საათი
<p>V.</p> <ul style="list-style-type: none"> ანაკრები (ლითონის, რკინაბეტონის) კონსტრუქციებით სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას საფრთხეების განსაზღვრის წესები; ანაკრები (ლითონის, რკინაბეტონის, ხე, პლასტმასი) კონსტრუქციებით სამონტაჟო სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ანაკრები კონსტრუქციების დროებითი დამაგრების უსაფრთხოების წესები. ანტიკოროზიული ხსნარებით ლითონის კონსტრუქციის დამუშავების უსაფრთხოება; ხის მასალის ლაქებით დამუშავების უსაფრთხოება. საიზოლაციო სამუშაოების წარმოებისას საფრთხეებისა და რისკების ამოცნობა; საიზოლაციო სამუშაოების წარმოების წესები უსაფრთხოების პირობებისა და 	<p>7</p> <p>8</p>				<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>

	<p>გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებით;</p>					
VI.	<ul style="list-style-type: none"> • სამონტაჟო მანქანა-მექანიზმებთან მუშაობის წესები უსაფრთხოების ნორმების დაცვით; • ჩასაბმელი მოწყობილობების (ტრავერსები, სამარჯვები) უსაფრთხოდ ჩაბმის წესები. • საფრთხეების აღმოფხვრა სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით შესაძლებლობების/კომპეტენციების ფარგლებში; • თემატიკის შესაბამისად, GIZ-სა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენება სამუშაო პროცესების შესრულებისას. 	9	10	<p>პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>

VII.	<ul style="list-style-type: none"> • დასაქმებულების ინტერესების მომზადება და წარდგენა დამსაქმებელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და ზედამხედველ ორგანოსთან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით; ▪ ელექტრო ხელსაწყოებთან და დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობის წესები. ▪ ელექტროიარაღების მოვლის და შენახვის წესები • სახანძრო უსაფრთხოების ნორმები; • სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები; 	10	10	პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი	საგანმანათლებლო დაწესებულება/კომპანია A გარემო (2 საათი); სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (8 საათი).
VIII.	<ul style="list-style-type: none"> • სევერუადი ღონისძიებების გატარება; • ცეხლის ქობის საშუალებების (ცეხლმაქრები) გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად. • პირველადი დახმარება. 	10 11	10	პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; ინტერაქტიული ლექცია; სემინარი	საგანმანათლებლო დაწესებულება/კომპანია A გარემო (2 საათი); სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (3 საათი).

შეფასება	მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე კვირის შედეგები	წერილობითი გამოკითხვა	საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო 2 საათი
		პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასება	საშემნებლო ობიექტი/სამუშაო გარემო 3 საათი

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მიაკუთვნებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა -----	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულებისას
პროგრამის სახე:
პროფესიული მომზადების
X პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:
<input checked="" type="checkbox"/> 02 <input type="checkbox"/> 03 <input type="checkbox"/> 04 <input type="checkbox"/> 05
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8
კვირული სასწავლო სათაბრივი დატვირთვა: 10
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 10; მაქსიმალური 20
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: იატაკისა და ფილის სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 თვიანი სამუშაო გამოცდილება.

ასაკი: მინიმუმ 18 წელი.

პროგრამის მიზნები:

შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, სამშენებლო სექტორში დასაქმებულ პირებს, შესძინოს და განუვითაროს სამშენებლო სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, გაუმჯობესოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საფრთხეების წინასწარი შეფასებისას. დაეხმაროს მსმენელს არსებული ცოდნის სისტემაში მოყვანაში და შრომის უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ფორმალიზაციაში.

მსმენელს შესძინოს და განუვითაროს:

- საკუთარი თავისა და მასთან მომუშავე პირის უსაფრთხო მუშაობაზე ზრუნვის და ჯანმრთელობის დაცვის უნარი;
- თავისი შესაძლებლობის ფარგლებში სამუშაო გარემოში მუქანკური, კიმიური, ბიოლოგიური და ერგონომიკული საფრთხეების შეფასებისა და მის აღმოფხვრაში მონაწილეობის უნარი;
- დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების უსაფრთხოდ განხორციელების უნარი;
- მუქანზმებისა და ხელსაწყო-იარაღების უსაფრთხოდ გამოყენების უნარი;
- უსაფრთხო სამუშაო ადგილის მოწყობის უნარი;
- საფრთხეების წინასწარი შეფასების შედეგად იატაკის, ფილისა და საიზოლაციო სამუშაოების წარმოების უნარი უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
- იატაკის, ფილისა და საიზოლაციო სამუშაოების წარმოებისას გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინების უნარი;
- ელექტროუსაფრთხოების და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის უნარი;
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენების უნარი.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი ცოდნა და პრაქტიკული უნარები:

იცის:

1. ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიხედვით დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებების, შრომის დაცვის ზოგადი პრინციპების ცოდნა.

შეუძლია:

2. კომპეტენციის ფარგლებში სამუშაო გარემოში სხვადასხვა სახის (ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური, ერგონომიკული) საფრთხეების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა შესაძლებლობების ფარგლებში;
3. სამუშაო ადგილის უსაფრთხოდ მოწყობა და პირადი დაცვის საშუალებებით აღჭურვა;
4. ხელსაწყო-იარაღებით ფილის დამუშავება უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
5. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გამოყენება სამუშაო პროცესების შესრულებისას;
6. მობილური ხარაჩოებისა და გადასატანი კიბეების გამოყენება ნორმების შესაბამისად;
7. გრუნტის, დუღაბისა და კოქსიდური ნარევების მომზადება უსაფრთხოების წესების დაცვით;
8. იატაკზე (სხვადასხვა სახის) და კედელზე ფილის მოწყობა ტექნოლოგიური თანამდევრობით უსაფრთხოების წესების დაცვით;
9. საიზოლაციო სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების ნორმების დაცვით;
10. ტრანსპორტის მუშაობისას, მასალების დატვირთვა-დაცლის დროს უსაფრთხოების წესების დაცვა;
11. სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების დაცვა ფილის სამუშაოების შესრულებისას;
12. პირველადი დახმარების გაწევა შესაძლებლობის ფარგლებში.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

1. პროფესიული სტანდარტები:

- იატაკის მომწყობი
- ფილამწყობი

2. რეგიონში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი.

3. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“.

4. ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამა განკუთვნილია როგორც პარტიიორ სამშენებლო კომპანიაში დასაქმებული პირებისთვის, ასევე სამშენებლო სექტორში მომუშავე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომელთაც მინიმუმ სამთვიანი სამუშაო გამოცდილება აქვთ. სწავლება ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ, საგანმანათლებლო დაწესებულების და რეალურ სამუშაო გარემოში პარტიიორი ორგანიზაციის ბაზაზე. სწავლა განხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში საათების სრული მოცულობის - 32,5 %, სამშენებლო კომპანიაში - 67,5%.

პროფესიული გადამზადების პროგრამის „შრომის უსაფრთხოების დაცვა იატაკის და ფილის სამუშაოების შესრულებისას“ მოცულობა შეადგენს 80 საათს. მსმენელთა გადამზადება განხორციელდება 8 კვირის განმავლობაში კვირული დატვირთვით - 10 საათი. კვირაში 2-3 დღე (დამსაქმებელთან შეთანხმებით).

პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდება წერილობითი გამოკითხვით (ტესტირებით) და პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასება (პროცესზე დაკვირვებით) მეოთხე და მერვე კვირას.

ტესტირების შეფასების ინსტრუმენტები:

1. კითხვები - შესაბამისობის დადგენა;
2. „ჭეშმარიტა / მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები;
3. კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით;

(პროცესზე დაკვირვება) განხორციელდება წინასწარ შემუშავებული პროცესზე დაკვირვების ფურცლის (Check List) საშუალებით.

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღების დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთჯერ.

პროფესიული გადაწყვეტილების პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღების შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

შენიშვნა: სწავლების განმავლობაში შესაძლებელია, სამშენებლო ობიექტზე სამუშაო პროცესების თავისებურებიდან გამომდინარე კვირეული დატვირთვის მიხედვით თემატიკის ცვლილება.

2. პროგრამის შინაარსი

დასახელება	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდები	შეფასების მეთოდები	სასწავლო გარემო
I.	<ul style="list-style-type: none"> ▪ ძირითადი საკანონმდებლო აქტების მიხედვით დამსაქმებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები, პასუხისმგებლობები; შრომის დაცვის ზოგადი პრინციპები. (საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, ტექნიკური რეგლამენტები - №477, №361, №429). 	1	10	ინტერაქტიული ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; სემინარი		საგანმანათლებლო დაწესებულება (3 საათი);
	<ul style="list-style-type: none"> ▪ სამუშაო გარემოში საფრთხეებისა და საშიშროებების განსაზღვრის პრინციპები; ▪ სამუშაო გარემოში ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური და 	2				სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).

	<p>ერგონომიკული საფრთხის ძირითადი ფაქტორები.</p> <p>ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებების ძირითადი სახეები.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ PPE-პირადი დაცვის საშუალებები და მათი დანიშნულება; ▪ უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოწყობის წესები; ▪ ხელსაწყო ინსტრუმენტების უსაფრთხოდ განლაგების ძირითადი წესები; ▪ სამში ზონები სამშენებლო მოედანზე; ▪ უსაფრთხოების (შემზღვევა, მაფრთხილებელი, მაჩვენებელი და ამკრძალავი) ნიშნები. ▪ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. 	3				
II.	<ul style="list-style-type: none"> ▪ სამუშაო გარემოში ინსტრუქციის მნიშვნელობა. ინსტრუქციის 	1	10	ინტერაქტიული ლექცია;		საგანმანათლებლო დაწესებულება

	<p>სახეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სამშენებლო მასალების უსაფრთხოდ განლაგების ძირითადი წესები; ▪ მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისას საფრთხეების იდენტიფიცირება. ▪ ფილების დაჭრა ზომებად უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ▪ ხელსაწყო-იარაღებით ფილის კიდების დამუშავება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ▪ მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების წესები უსაფრთხოების ნორმების დაცვით. 	4		<p>პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; სემინარი</p>		<p>(3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო (7 საათი).</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ GIZ-სა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გაცნობა სამუშაო პროცესების შესრულებისას; 	5					

III.	<ul style="list-style-type: none"> ▪ მობილური ხარაჩოებისა და გადასატანი კობების გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად; • ხარაჩოების უსაფრთხოდ მოწყობის პირობების განსაზღვრა ინსტრუქციისა და ტექნიკური რეგლამენტი 477-ის შესაბამისად; ▪ იატაკზე და კედელზე ფილის მოწყობის სამუშაოების შესრულებისას საფრთხეების შეფასების პირობები. 	6	10	<p>ინტერაქტიული</p> <p>ლექცია;</p> <p>პრაქტიკული</p> <p>მეცადინეობა;</p> <p>სიმულაცია;</p> <p>სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება</p> <p>A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>
------	---	---	----	--	--	---

IV.

- უსაფრთხოების წესები კედელზე და იატაკზე ნიშნულების დაყენებისა და მომათქმების სამუშაოების ჩატარებისას, გარემოს დაცვის პირობების გათვალისწინებით;
- უსაფრთხოების წესები გრუნტისა და დულაბის მომზადებისას;
- ინსტრუქციის შესაბამისად ეპოქსიდური ნარევის მომზადება;
- უსაფრთხოების წესები ფილის მოწყობის სამუშაოების შესრულებისას იატაკზე და კედელზე.

7

10

ინტერაქტიული
ლექცია;
პრაქტიკული
მეცადინეობა;
სიმულაცია;
სემინარი

საგანმანათლებლო
დაწესებულება
A გარემო
(2 საათი);

საშენებლო
ობიექტი/სამუშაო
გარემო C
(4 საათი).

<p>შეფასება</p>	<p>შეფასება პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კვირის შედეგები</p>	<p>წერილობითი გამოკითხვა</p>	<p>2 საათი</p>
<p>შეფასება</p>	<p>შეფასება</p>	<p>პრაქტიკული დავალების შესრულების</p>	<p>2 საათი</p>

					შეფასება	
V.	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფილის მოწყობისას საიზოლაციო სამუშაოების წარმოების წესები უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმების მიხედვით; ▪ სხვადასხვა სახის იატაკის მოწყობის სამუშაოების შესრულებისას საფრთხეების შეფასების პირობები; ▪ პრევენციული ზომები სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევითა და გამოყენებით; ▪ სხვადასხვა სახის იატაკის მოწყობისას საიზოლაციო სამუშაოება უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. 	8	10	<p>ინტერაქტიული</p> <p>ლექცია;</p> <p>პრაქტიკული</p> <p>მეცადინეობა;</p> <p>სიმულაცია;</p> <p>სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება</p> <p>A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>

VI.	<ul style="list-style-type: none"> ტრანსპორტის მუშაობის დატვირთვა-დაცლის სამუშაოების უსაფრთხოება; სატრანსპორტო საშუალებებთან მუშაობა უსაფრთხოების ნორმების დაცვით; 	10	10	<p>ინტერაქტიული</p> <p>ლექცია;</p> <p>პრაქტიკული</p> <p>მეცადინეობა;</p> <p>სიმულაცია;</p> <p>სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება</p> <p>A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (7 საათი).</p>
	<ul style="list-style-type: none"> თემატიკის შესაბამისად GIZ-სა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მობილური აპლიკაციის გაცნობა სამუშაო პროცესების შესრულებისას. 	6				

VII.	<ul style="list-style-type: none"> ▪ შრომის უსაფრთხოების შესახებ წინადადების ინიცირების მოხდენის წესები; ▪ დასაქმებულების ინტერესების მომზადება და წარდგენა დამსაქმებელთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და ზედამხედველ ორგანოსთან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით; ▪ ელექტრო ხელსაწყოებთან და დანადგარებთან უსაფრთხო მუშაობის წესები. ▪ ელექტროიარაღების მოვლისა და შენახვის წესები ▪ სახანძრო უსაფრთხოება; • სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები; 	11	10	<p>ინტერაქტიული</p> <p>ლექცია;</p> <p>პრაქტიკული</p> <p>მეცადინეობა;</p> <p>სიმულაცია;</p> <p>სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება</p> <p>A გარემო (3 საათი);</p> <p>სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (5 საათი).</p>
------	---	----	----	--	--	--

VIII.	<ul style="list-style-type: none"> ▪ სევერუციო ღონისძიებების გატარება; ცეხლის ქროზის საშუალებების (ცეცხლმაქრები) გამოყენება ინსტრუქციის შესაბამისად; • პირველადი დახმარება 	11	10	<p>ინტერაქტიული ლექცია; პრაქტიკული მეცადინეობა; სიმულაცია; სემინარი</p>		<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო (2 საათი); სამშენებლო ობიექტი/სამუშაო გარემო C (5 საათი).</p>
	<ul style="list-style-type: none"> ▪ შეფასება 	<p>მეზუთე, მექვე, მეშვიდე, მერვე კვირის შედეგები</p>			<p>წერილობითი გამოკითხვა</p> <p>პრაქტიკული დავალების შესრულების შეფასება</p>	<p>საგანმანათლებლო დაწესებულება A გარემო 2 საათი</p> <p>3 საათი</p>

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

(ივსება მხოლოდ ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, რომელიც შემუშავებულია იმ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით)

პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა -----	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი